F-171
1971

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

3

მარტი

თბილისი—1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის განათლების მინისტრის
მ. პროკოფიევის მიერ 1970 წ.
31 დეკემბერს

ინსტრუქცია

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა ყოფაქცევის შესახებ

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებას ხუთბალიანი სისტემის ნაცვლად შემოაქვს მოსწავლეთა ყოფაქცევის შემდეგი შეფასება: „სანიმუშო", „დამაკმაყოფილებელი" და „არადამაკმაყოფილებელი". მოსწავლეთა ყოფაქცევას I—III (IV) კლასებში აფასებენ მასწავლებლები და IV—X (XI) კლასებში—კლასის ხელმძღვანელები.

IV—X (XI) კლასების მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ კლასების მასწავლებელთა, სკოლის საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრი.

ყოფაქცევის შეფასების ახალი წესის შემოღება უნდა ემსახურებოდეს მთავარ ამოცანას—მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის გაძმტკიცებას.

მოსწავლეთა ყოფაქცევის ნიშნების გამოყვანა მოითხოვს სწორ მეთოდურ მიდგომას და პედაგოგიურ ტაქტს, შეფასება უნდა იყოს ობიექტური და ასახავდეს მოსწავლის ქცევის ნამდვილ სურათს. მის მიერ სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების შესრულებას.

ყოფაქცევის შეფასების მთავარი კრიტერიუმი არის მოსწავლის მიერ თავისი ძირითადი მოვალეობების შესრულება, რაც ჩაწერილია „მოსწავლეთა წესებში".

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ყოფაქცევის ორი დადებითი შეფასება: „დამაკმაყოფილებელი“ და „სანიმუშო“.

შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ დაეწერებათ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ასრულებენ „მოსწავლეთა წესებით“ განსაზღვრულ სკოლის ძირითად მოთხოვნებს, მონაწილეობენ სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. ეს შეფასება ახასიათებს მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფაქცევას. მისი დაწერა არ უნდა განიხილებოდეს როგორც განსაკუთრებული შემთხვევა.

შეფასება „სანიმუშო“ ეწერებათ მოსწავლეებს, რომლებიც უფრო ბეჯითად სწავლობენ და განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ კლასისა და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, სანიმუშოდ იქცევიან სკოლაში, შინ და ქუჩაში, განუხრელად ასრულებენ „მოსწავლეთა წესებს“. შეფასება „სანიმუშო“ უნდა დაეწეროს მოსწავლეთა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელთა ყოფაქცევა სამაგალითო იქნება სხვა მოსწავლეებისათვის.

შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ ეწერებათ მოსწავლეებს, რომლებიც სისტემატურად არ ასრულებენ „მოსწავლეთა წესებით“ გათვალისწინებულ თავიანთ ძირითად მოვალეობებს, არ ემორჩილებიან სკოლის, მასწავლებლების მოთხოვნებს, უდისციპლინობას იჩენენ სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებრივ ადგილებში. ცალკეულ შემთხვევებში შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ შეიძლება დაიწეროს მოსწავლის მიერ ერთეული ანტისაზოგადოებრივი, სამართლის დარღვევის ხასიათის საქციელისათვის.

ყოფაქცევის შეფასება ხდება სასწავლო მეოთხედებისა და სასწავლო წლის შედეგების მიხედვით. ის იწერება მოსწავლის დღიურში და ეცნობება მშობლებს. სასწავლო კვირის შედეგების მიხედვით მასწავლებელს (I—III კლასები) და კლასის ხელმძღვანელს (IV—X (XI) კლასები) აუცილებლობის შემთხვევაში მოსწავლის ღღიურში შეაქვთ მისი ყოფაქცევის შესახებ მოკლე ჩანაწერი.

წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასება ყოფაქცევაში მოსწავლეებს ეწერებათ მხოლოდ სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ. ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელები და I—III კლასების მასწავლებლები პედაგოგიურ საბჭოს უდგე-

ნენ მოტივირებულ დასაბუთებას პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის აზრის გათვალისწინებით.

გამოსაშვები (X ან XI) კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ყოფაქცევაში აქვთ წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასება, წესდების მე-20 პარაგრაფის შესაბამისად, გამოცდებზე არ დაიშვებიან და ისინი იღებენ ცნობას იმის შესახებ, რომ მოისმინეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსი; საშუალო განათლების ატესტატზე გამოცდები მათ შეუძლიათ ჩააბარონ მომდევნო სამ წელიწადში—დადგენილი წესით, სამუშაო ადგილიდან დადებითი დახასიათების წარმოდგენის შემდეგ.

თუ იმ კლასების მოსწავლეები, რომელი კლასებიც გამოსაშვები არ არის,—ყოფაქცევაში წლიურ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებენ, შემდეგ კლასში ისინი პირობით იქნებიან გადაყვანილი, მოსწავლის მიერ ყოფაქცევაში არადამაკმაყოფილებელი შეფასების განმეორებით მიღებისას, მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელებისადმი სისტემატური დაუმორჩილებლობისა და დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევაში, პედაგოგიური საბჭო განიხილავს მისი სკოლიდან გარიცხვის საკითხს.

VIII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ყოფაქცევაში წლიური შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ აქვთ, იღებენ რვაკლასიანი განათლების მოწმობას ყოფაქცევის შეფასების ხაზზე შესაბამისი ჩანაწერით. ასეთი მოსწავლეების IX კლასში ჩარიცხვის საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონაწერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმიდან № 28

მოისმინეს: საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასებში ქართული ენის სწავლების ზოგი საკითხისა და შესასწავლი მასალის განაწილების განხილვა-დამტკიცების შესახებ (მომხს. ს. დვალი).

აზრი გამოთქვეს: ამხ. ამხ. ვ. ჩინჩალაძემ, თ. ლაშქარაშვილმა.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასებში ქართულ ენაში შესასწავლი მასალის განაწილება და მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია შესაბამისი სამმართველოს მიერ წარმოდგენილ წერილში — „საღამოს" (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასებში ქართული ენის სწავლების ზოგი საკითხისა და შესასწავლი მასალის შერჩევა-განაწილების შესახებ".

2. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) სახელმძღვანელოდ დაუგზავნოს ამ ტიპის სკოლებს ზემოაღნიშნული მასალა.

3. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გრ. საჯაია) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების ქართული ენისა

და ლიტერატურის მასწავლებელთა დასახმარებლად პერიოდულად გამოაქვეყნონ მეთოდური ხასიათის წერილები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში ქართული ენის სწავლების ცალკეულ საკითხებზე.

თავმჯდომარე **თ. ლაშქარაშვილი**

მდივანი **ელ. აგლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასებში ქართული ენის სწავლების ზოგი საკითხისა და სასწავლო მასალის განაწილების შესახებ

როგორც ცნობილია, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: ერთი და იმავე კლასის ახალგაზრდები სხვადასხვა დროს სწავლობენ მასობრივ სკოლაში; მათ სწავლის ინტერესი და აკადემიური წარმატებაც, ბუნებრივია, განსხვავებული, უფრო ხშირად კი დაბალი ჰქონდათ. გარკვეული წლების მანძილზე მათ სწავლას თავი მიანებეს და ისედაც არასაკმაო ცოდნიდან ზოგი რამ დავიწყებას მიეცა. საბოლოო ანგარიშით, ამ გარემოებამ (ზოგ სხვა ფაქტორთან ერთად) განაპირობა კლასის დაკომპლექტება საკმაოდ ჭრელი, განსხვავებული ცოდნის მქონე კონტინგენტით.

მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე უპირველეს ყოვლისა ვლინდება მათს დაბალ წიგნიერებაში· წერითი და ზეპირი მეტყველების ჩვევათა სისუსტეში. ასეთი ვითარება გაითვალისწინა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და გასული, 1969—70 სასწავლო წლიდან საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასებში შემოიღო ქართული ენის სწავლება (კლასში თითო კვირეული საათი).

აღნიშნული კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა წინაშე გართულებული სახით დაისვა საერთოდ კარგად ცნობილი ამოცანა—რა ასწავლონ და როგორ ასწავლონ; ამ ამოცანის გადაჭრას უპირველეს ყოვლისა აძნელებს და ართულებს ოფიციალური პროგრამისა და სახელმძღვანელოს უქონლობა, აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოს და მეთოდურ მითითებათა უქონლობაც.

ამის გამო სასწავლო მასალის დამოუკიდებლად დაგეგმვა უჭირთ არა მარტო დამწყებ, არამედ სათანადო პედაგოგიური გა-

მოცდილების მქონე მასწავლებლებსაც; დღემდე, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ყველა მასწავლებელმა ვერ მონახა საგნის სწავლების ამოსავალი პრინციპი: ვერ შეძლო სასწავლო მასალის დაგეგმვა მოსწავლეთა ფაქტობრივი ცოდნის დონის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო მასალა თვითეულმა მასწავლებელმა შეიძლება შეარჩიოს ინდივიდუალურად, კლასის მოსწავლეთა მომზადების მიხედვით, მაინც აუცილებლად მივიჩნიეთ ზოგადად მაინც გაგვეთვალისწინებინა შესასწავლი მასალის მოცულობა.

ქართული ენის გრამატიკის ძარითადი კურსი, როგორც ცნობილია, უკვე შესწავლილია რვაწლიან სკოლაში; IX--XI კლასებში ქართული ენის სწავლებისას მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს მართლწერის თვალსაზრისით განსაკუთრებით საჭირო წესების განმეორებას, ან (როცა ეს აუცილებელია) ზოგი მათგანის ხელახლა შესწავლას და ამ გზით მართლწერისა დი მართლმეტყველების ჩვევათა განმტკიცებას,

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ საღამოს სკოლაში ხშირია მოსწავლეთა დენადობა. ამიტომ გასამეორებელი თუ ხელახლად შესასწავლი მასალა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ პერიოდულად მეორდებოდეს, ამგვარ ვითარებაში მოსწავლეები, რომლებმაც ესა თუ ის მასალა უკვე შეისწავლეს, კიდევ უფრო განიმტკიცებენ ცოდნას განმეორების გზით, ისინი კი, ვინც ახლად ჩაირიცხა სკოლაში, ან ადრეც სწავლობდა, მაგრამ ზგარკვეული მდგომარეობის გამო აცდენდა სასწავლო მეცადინეობას, ახლად შეისწავლიან მას.

გასათვალასწინებელია ის გარემოებაც, რომ გასამეორებელ მასალაში შიგადაშიგ მაინც უნდა ჩავრთოთ რაიმე ახალი, რათა გაკვეთილი მოსაწყენი არ გახდეს იმათთვის, ვინც უკვე იცნობს მასალას. ამ მიზნით შესწავლილ გრამატიკულ წესებზე დაყრდნობით უნდა ვაწარმოოთ უკვე ცნობილი ენობრივი ფაქტების განზოგადება და სისტემაში მოყვანა. ახალ მასალად შეიძლება ჩავრთოთ ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკის საკითხები. მასწავლებელმა წინასწარ ღრმად უნდა შეისწავლოს კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე და გზადაგზა ამუშაოს ისინი შეცდომებზე, რომლებსაც უშვებენ წერითსა და ზეპირ მეტყველებაში. თავიანთი ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით ამ ტიპის სკოლების მოსწავლეებს შეუძლიათ უფრო ხანგრძლივად და ყურა-

დღეებით უსმინონ მასწავლებელს. ეს კი საშუალებას გვაძლევს საჭირო შემთხვევაში მივმართოთ სასკოლო ლექციას და ამ გზით დავზოგოთ სასწავლო დროც.

სასწავლო მასალის განაწილება კლასების მიხედვით პრაქტიკულად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

IX **კლასი. მორფოლოგიაში შესწავლილი მასალების განზოგადება და სისტემატიზაცია სინტაქსის საკითხთა განმეორებასთან ერთად (ერთდროულად).**

1. შესავალი საუბარი ქართული ენის შესახებ. არქაიზმები, ნეოლოგიზმები, სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები.. და მათი გამოყენება მეტყველებაში—1 საათი.

2. სიტყვის შედგენილობა. სიტყვათა ცვლა გრამატიკული ფორმისა და ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. წარმოქმნილ სახელთა გამოყენება წინადადებაში სტილისტური თვალსაზრისით (თბილისში ჩამოვიდნენ მოსწავლეები, რომლებიც გორში ცხოვრობენ—თბილისში ჩამოვიდნენ **გორელი** მოსწავლეები)—2 საათი.

3. ქართული მართლწერის მორფოლოგიური პრინციპი და მისგან გადახვევის შემთხვევები. ქვემდებარისა და შემასმენელის გამოხატვის საშუალებანი. თხზულება-მინიატურა ფაბრიკასა თუ ქარხანაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა მუშაობის შესახებ—2 საათი.

4. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები: ა) ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნება; ბ) ფუძის კვეცა ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში; გ) წოდებითის ფორმათა მართლწერა; დ) მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან; ე) ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა სახელებში. ტირეს ხმარება წინადადებაში ქვემდებარისა და შემასმენლის გამოტოვების შემთხვევაში. ანკეტის შევსება—6 საათი.

5. კარნახით წერა. კარნახის დროს დაშვებულ შეცდომათა ანალიზი—2 საათი.

6. რიცხვითი სახელების მართლწერა. განსაზღვრება, განკერძოებული განსაზღვრება, განსაზღვრებიანი და განკერძოებულ-

განსაზღვრებიანი მარტივი გავრცობილი წინადადება. ეპითეტებისა და სინონიმების მოძებნა მხატვრული ნაწარმოების ტექსტში. განსაზღვრებიან და განკერძოებულგანსაზღვრებიან წინადადებათა შედგენა. შემოქმედებითი ხასიათის თხზულება (კინოსურათის ან სპექტაკლის ნახვის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა გადმოცემა)—2 საათი.

7. ნაცვალსახელების მართლწერა. III პირის ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში; I და II პირის ნაცვალსახელების გრამატიკული რიცხვის საკითხი—1 საათი.

8. საკონტროლო კარნახი—1 საათი.

9. თანდებულიან სახელთა მართლწერა. თანდებულებისა და თანდებულიანი სიტყვების შემცველ მარტივ წინადადებათა შედგენა—1 საათი.

10. ნაწილაკდართული ნაცვალსახელების მართლწერა, **არ, ვერ, ალარ, ველარ, ნულარ** ნაწილაკების მნიშვნელობა—1 საათი.

11. კავშირი. რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადება. კავშირის ხმარება რთულ წინადადებაში. მოხსენებითი ბარათის შედგენა—6 საათი.

12. სიტყვათაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები: ა) **ურ** (—**ულ**) ბოლოსართიანი სიტყვების მართლწერა. ბ) რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერა; გ) შემოკლებული სახელები და შემოკლებულად წერა—2 საათი.

13. კარნახით წერა—1 საათი.

14. შესწავლილი მასალის განმაზოგადებელი განმეორება: ა) სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; ბ) რიცხვითი სახელების მართლწერა. ნაცვალსახელების მართლწერა; გ) თანდებულებისა და თანდებულიანი სიტყვების მართლწერა. ნაწილაკებისა და ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა მართლწერა; დ) სიტყვათაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. განსაზღვრება. განსაზღვრების შემცველ მარტივ გავრცობილ წინადადებათა შედგენა. სხვადასხვა სახის გარემოების შემცველ მარტივ გავრცობილ წინადადებათა შედგენა. განცხადების დაწერა—4 საათი.

15. საკონტროლო კარნახი—1 საათი.

16. წემაჯამებელი მეცადინეობა—3 საათი.

X კლასი. სინტაქსში შესწავლილი მასალების განზოგადება და სისტემატიზაცია მორფოლოგიაში შესწავლილ მასალებთან ერთად (ერთდროულად).

1. შემასმენლის რაობა: ა) მარტივი შემასმენელი; ბ) შედგენილი შემასმენელი. ზმნების მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები: ა) პირის ნიშნების მართლწერა; ბ) ზმნისწინების მართლწერა; გ) ხმოვანმონაცვლე ზმნების მართლწერა; დ) ფუძემონაცვლე ზმნების მართლწერა; ე) შუალობითი კონტაქტის ფორმების მართლწერა. აქტის შედგენა—2 საათი.

2. ქვემდებარე. ქვემდებარის რაობა. მესამე სერიის წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; აღწერილობითი ვნებითისა და შედგენილი შემასმენლის მართლწერა. კონსტრუქციათა შენაცვლება. კარნახით წერა—2 საათი.

3. **ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით. ვ-ს ჩართვ-სა და დაკარგვის შემთხვევებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები:** ა) ა-ბოლოხმოვნიან სახელთაგან ნაწარმოები ზმნების მართლწერა; ბ)-ე ბოლოხმოვნიან სახელთაგან ნაწარმოები ზმნების მართლწერა; გ)-ო ბოლოხმოვნიან სახელთაგან ნაწარმოები ზმნების მართლწერა; დ)-უ ბოლოხმოვნიან სახელთაგან ნაწარმოები ზმნების მართლწერა—1 საათი.

4. ფუძისეული ვ; ვ—წოდებითი ბრუნვის ფორმაში. რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში: ა) ერთნაირი ხმოვნები; ბ) ერთნაირი თანხმოვნები. წერილის დაწერა კედლის გაზეთისათვის—1 საათი.

5. კარნახით წერა—1 საათი.

6. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. სახელთა ბრუნვები და მათი ნიშნები. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით. თეზისების შედგენა—2 საათი.

7. მარტივი წინადადების სახეები. ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები. ბრძანებითი კილო. სხვადასხვა სახის მარტივ წინადადებათა შედგენა; ბუნების მოვლენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის აღმნიშვნელი უქვემდებარო წინადადების შემასმენელი; მრთელობის მდგომარეობის აღმნიშვნელ შემასმენელთა უქვემდებაროდ ხმარება—2 საათი.

8. შერწყმული წინადადება. ერთგვარი წევრები შერწყმულ წინადადებაში. ხმოვანმონაცვლე ზმნები. სხვადასხვა სახის შერწყმულ წინადადებათა შედგენა, თხზულება თემაზე—„შთაბეჭდილებანი საწარმოს მუშაობის შესახებ"—2 საათი.

9. შესწავლილი მასალის განმეორება—განმტკიცება. ზმნიზედის მართლწერა. წერითი მუშაობა—1 საათი.

10. წინადადების მეორეხარისხოვანი განკერძოებული წევრები: განკერძოებული განსაზღვრება. ზედსართავ სახელთა ბრუნება. ბრუნვის ნიშნები. მიმღეობის წარმოება და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. განკერძოებული განსაზღვრების შეთანხმება მსაზღვრელთან ბრუნვასა და რიცხვში. განკერძოებული განსაზღვრების სტილისტიკური ფუნქცია—1 საათი.

11. განკერძოებული გარემოება (ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებათა განკერძოება). ადგილის, დროისა და ვითარების ზმნიზედა. სხვადასხვა სახის ზმნიზედის შემცველ მარტივ გავრცობილ წინადადებათა შედგენა—1 საათი.

12. დანართი. სასვენი ნიშნები დანართთან. მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნება. დანართის შემცველ წინადადებათა შედგენა—1 საათი.

13. მიმართვა. სასვენი ნიშნები მიმართვასთან. სახელთა ბრუნება. გავრცობილი და გაუვრცობელი მიმართვის შემცველ წინადადებათა შედგენა. მრავალფეროვანი მნიშვნელობის მქონე ჩართულ სიტყვათა და გამოთქმათა შემცველ წინადადებათა შედგენა. ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" მოქმედი პირის ოთარაანთ ქვრივის დახასიათება—2 საათი.

14. ჩართული. სასვენი ნიშნები ჩართულთან. ზმნა (შემასმენელი). მიგებითი ნაწილაკები. შორისდებული. სასვენი ნიშნები მიგებით ნაწილაკებთან და შორისდებულებთან. მიგებით ნაწილაკებიან და შორისდებულიან წინადადებათა შედგენა—1 საათი.

15. რთული თანწყობილი წინადადება. კავშირი. მაერთებელი, მაცალკევებელი და მაპირისპირებელი კავშირები. კავშირიან და უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებათა შედგენა. თხზულება თემაზე—„ჩემი საყვარელი წიგნი"—2 საათი.

16. რთული ქვეწყობილი წინადადება. მაქვემდებარებელი კავშირები და წევრ-კავშირები (მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები). რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შედგენა. ნაკლოვანებანი და შეცდომები ოთულ ქვეწყობილ წინადადებათა შედგენაში. რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივისა რთულ ქვეწყობილად. **რომ** და **თუ** კავშირის ხმარება დამოკიდებულ წინადადებაში—3 საათი.

17. რთული სინტაქსური კონსტრუქციები. ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა მართლწერა. რთული სინტაქსური კონსტრუქციის წინადადებათა აგება. აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკის" გეგმის შედგენა—2 საათი.

18. უკავშირო რთული წინადადება. სიტყვათა შემოკლება. რთული სიტყვები. უკავშირო რთული წინადადების კავშირიანი რთული წინადადებით შეცვლა—2 საათი.

19. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. სხვათა სიტყვის მართლწერა. რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი. პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთება და ირიბისა—პირდაპირად. შემოქმედებითი კარნახი (პირდაპირი ნათქვამის შეცვლა ირიბით და ირიბი ნათქვამისა პირდაპირით)—2 საათი.

20. პუნქტუაციის წესების განმეორება-განმტკიცება. საკონტროლო კარნახი—2 საათი.

21. თხზულების დაწერა თემაზე „შრომა ღირსებისა და პატივის საქმეა"—1 საათი.

22. შემაჯამებელი მეცადინეობა—3 საათი.

XI კლასი. IX—X კლასებში უკვე განმეორებული თუ ახლად შესწავლილი მასალების განზოგადება და მისი სისტემატიზაცია.

1. სიტყვის შედგენილობა. სიტყვათა ცვლა გრამატიკული ფორმისა და ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით. წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. გრამატიკული ფორმისა და ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით სიტყვათა ცვლის შემთხვევების დასახელება. თხზულება თემაზე—„რას გვასწავლის შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი?"—1 საათი.

2. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წანადადების სინტაქსური ანალიზი. სიტყვებისა და წინადადებათა

შეცვლა სხვა სიტყვებით (სინონიმებით) და შინაარსით ეგვე, მაგრამ აგებულების მიხედვით სხვა წინადადებით —2 საათი.

3. რიცხვითი სახელების მართლწერა. სხვათა სიტყვის შემცველი წინადადების სინტაქსური ანალიზი. განსაზღვრება. განკერძოებული განსაზღვრება. ავტობიოგრაფიის შედგენა—1 საათი.

4. საკონტროლო კარნახი—1 საათი,

5. ნაცვალსახელების მართლწერა. ნაცვალსახელი განსაზღვრებად. III პირის ნაცვალსახელები მრავლობით რიცხვში; I და II პირის ნაცვალსახელის გრამატიკული რიცხვის საკითხი. თანდებულიან სახელთა შემცველ მარტივ წინადადებათა შედგენა—1 საათი.

6. თანდებულიანი სახელების მართლწერა. სინტაქსური ანალიზი ისეთი წინადადებისა, რომელშიც გამოტოკებულია შემასმენელი. ნაწილაკდართული ნაცვალსახელების მართლწერა. **არ, ვერ, ალარ, ველარ, ნულარ** ნაწილაკების მნიშვნელობა—1 საათი.

7. კავშირი. რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადება. სასვენი ნიშნების ხმარება რთულ წინადადებაში. კავშირის ხმარება რთულ წინადადებაში. მოხსენებითი ბარათის შედგენა—2 საათი.

8. სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. რთული სინტაქსური კონსტრუქციის წინადადების ანალიზი. თხზულება-მინიატურა თემაზე—„როგორ ვატარებ გამოსასვლელ დღეს"—1 საათი.

9. სიტყვის შერწყმულად, დეფისით და გაყოფილად დაწერა (არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, ზმნიზედა, თანდებული და კავშირი). უკავშირო რთული წინადადების სინტაქსური ანალიზი. ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების ხმარება. თხზულება-მინიატურა თემაზე—„გვიანი შემოდგომის სურათი"—1 საათი.

10. საკონტროლო კარნახი—1 საათი.

11. ზმნების მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები—2 საათი.

12. მარტივი წინადადების სტრუქტურა. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით: ა) ქვემდებარე მხოლობით რიცხვში; ბ) სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელი

ქვემდებარედ მრავლობითში და მისი შემასმენელი; გ) უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელი ქვემდებარედ და მისი შემასმენელი; დ) ქვემდებარე მეორე მრავლობითში და მისი შემასმენელი. თხზულება თემაზე—„სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟთა დახასიათება“—3 საათი.

13. ე-ს ჩართვისა და დაკარგვის შემთხვევებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურა. რთულ თანწყობილ წინადადებათა შედგენა. თხზულება თემაზე—„ცოდნის მნიშვნელობა დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთას“ მიხედვით“—2 საათი.

14. რთული ქვეწყობილი წინადადება და რთული სინტაქსური კონსტრუქციები. რთულ ქვეწყობილ წინადადებათა და რთულ სინტაქსურ კონსტრუქციათა შედგენა—3 საათი.

15. მარცვალი. სიტყვების განკვეთისა და სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის გადატანის წესები—1 საათი.

16. თხრობითი წინადადება; კითხვითი წინადადება; ბრძანებითი წინადადება; კითხვითი-ძახილის წინადადება; მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებები. სასვენი ნიშნები: ა) სასვენ ნიშანთა დანიშნულება; ბ) სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითადი წესები. წერტილი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი; კითხვისა და ძახილის ნიშნები ერთად. რთული ქვეწყობილი წინადადების შენაცვლება მარტივით; განკერძოებულგანსაზღვრებიანი წინადადების შენაცვლება მარტივითა და რთული წინადადებებით. თხზულება თემაზე—„ნ. ბარათაშვილის „მერანის“ იდეა“—3 საათი.

17. ტირე, დეფისი, ფრჩხილები, ბრჭყალები; რამდენიმე სასვენი ნიშანი ერთად. ისეთ წინადადებათა მონახვა მხატვრული ნაწარმოების ტექსტში, სადაც გამოყენებულია ამ სახის სასვენი ნიშნები. წერითი მუშაობა თემაზე—„რაში ვხედავ ცხოვრების მიზანს“—1 საათი.

18. მუშაობა კითხვების მიხედვით წინადადებათა შედგენაზე. თხზულება თემაზე—„ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ (განხილვა)“—1 საათი.

19. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან. მუშაობა გაბმულ ტექსტში სხვადასხვა ტიპის წინადადებათა გამოყენებაზე. მოსწავლეთა მიერ მსგავს წინადადებათა დამოუკიდებლად შედგენა—2 საათი.

20. წინადადებათა სახეები შინაარსის მიხედვით. სასვენ ნიშანთა ხმარების წესების განმეორება-განმტკიცება. წერილობითი პასუხი კითხვაზე—„როგორ შეხვდა გ. ტაბიძე 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას?“—2 საათი.

21. საკონტროლო კარნახი და მისი ანალიზი—1 საათი.

22. დამწერლობის წარმოშობა—1 საათი.

ზემოთ მოცემული გეგმიდან IX—XI კლასების მოსწავლეებში გაბმული (მწყობრი) მეტყველების განვითარების მიზნით რეკომენდებული მუშაობის სახეთაგან თვითეულ მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს ის, რომელიც შეესაბამება კლასის მომზადების დონეს და მის საკუთარ გეგმას. „დაგეგმვაში“ გათვალისწინებულია მხოლოდ ის სანიმუშო, შემოქმედებითი სამუშაოები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა მომზადება ლიტერატურულ-კრიტიკული, შემაჯამებელ-შემოქმედებითი თემების წერისათვის, ამ სახის სამუშაოთა ანალიზი შეიძლება ჩატარდეს მეტყველების განვითარების სპეციალურ გაკვეთილებზე (იხ. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები, გვ. 69—71, 1970 წ.) გათვალისწინებულია აგრეთვე კარნახით წერა, ამ სახის წერითი სამუშაოს შესრულებისას დაშვებულ შეცდომათა ანალიზი მიზანშეწონილია ჩატარდეს ან ინდივიდუალური კონსულტაციის დროს ან, თუ შეცდომები ტიპობრივი ხასიათისაა, ქართული ენის გაკვეთილზე გასამეორებელ თემასთან ერთად. საკონტროლო კარნახის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს თვით მასწავლებელი საგნის სწავლებისათვის გათვალისწინებული დროის ბიუჯეტის ხარჯზე.

ამ საორიენტაციო გეგმით მუშაობისას გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I.

2. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II.

3. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1968 წ.

4. შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია (სახელმძღვანელო პედაგოგიურ სასწავლებლებისთვის), 1956 წ.

5. გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, 1965 წ.

გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს შემდეგი ლიტერატურა:

1. ვ. თოფურია, ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, 1954 წ.

2. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965 წ.

3. შ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, 1959 წ.

4. ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, 1954 წ.

5. ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 1959 წ.

6. ვ. რამიშვილი, ქართული მართლწერა და მისი სწავლების საკითხები.

7. გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, 1964 წ., მისივე უტკბესი, და უმწარესი, 1969 წ.

8. ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, 1969 წ.

9. ლ. კვაჭაძე, წინადადების წევრები ქართულში, 1954 წ.

10. ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, 1958 წ.

11. მ. ჩინჩალაძე. ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში, 1955 წ.

12. მ. ჩინჩალაძე, წერითი მუშაობის სახეები V—VII კლასებში, 1953 წ.

13. რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები და მათი სწავლების მეთოდიკა, 1958 წ.

14. გრ. გაბედავა, მართლწერის სწავლების საკითხები V—VI კლასებში, 1957 წ.

15. თ. სიმონიშვილი, ნაცვალსახელის სწავლება სკოლაში, 1958 წ.

16. ლ. წულაძე, შერწყმული წინადადების სწავლება სკოლაში, 1963 წ.

17. პ. ლორთქიფანიძე, ე. გელაშვილი, ს. დვალი, ქართული ენის გრამატიკის ალბომი, 1966 წ. და სხვ.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს
უფროსის მოადგილე **ს. დვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლ ა შ ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი
1970 წლის 19 იანვარი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მშობელთა კომიტეტის შესახებ

I. მშობელთა კომიტეტის ამოცანები

1. მშობელთა კომიტეტები იქმნება ბავშვთა კომუნისტური აღზრდის განხორციელებისა და სწავლების საქმეში სკოლისათვის ხელშეწყობის მიზნით. მშობელთა კომიტეტების ამოცანაა:

— ოჯახსა და სკოლას შორის კავშირის განმტკიცება ბავშვებზე ოჯახისა და პედაგოგიური კოლექტივის ერთობლივი აღმზრდელობითი ზემოქმედების გატარების მიზნით. მშობელთა საზოგადოებრიობის აქტიური ჩაბმა სკოლის ცხოვრებაში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში;

— დახმარება სკოლისადმი სავალდებულო რვაწლიანი და საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებაში;

— მონაწილეობა მშობლებსა და მოსახლეობას შორის ფართო პედაგოგიური პროპაგანდის ორგანიზებაში;

— დახმარება სკოლის სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

II. მშობელთა კომიტეტების მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია

1. სკოლის მშობელთა კომიტეტს ირჩევს მშობელთა საერთო კრება ან კონფერენცია ყოველი სასწავლო ან კალენდარული წლის დასაწყისში ერთი წლის ვადით, მის წევრთა რაოდენობა განი-

საზღვრება მშობელთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებით სკოლის მუშაობის პირობების გათვალისწინებით.

2. მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად სკოლის მშობელთა კომიტეტი თავის შემადგენლობიდან ირჩევს:

— საშუალო და დიდ რვაწლიან სკოლებში პრეზიდიუმს, პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, მოადგილეს, მდივანსა და პრეზიდიუმის 3—5 წევრს;

— მცირე რვაწლიან და დაწყებით სკოლებში—თავმჯდომარეს, მის თანაშემწეს და მდივანს;

— ერთ და ორკომპლექტიან დაწყებით სკოლებში—თავმჯდომარეს.

3. კლასის მშობელთა კომიტეტს ირჩევს კლასის მშობელთა საერთო კრება თავმჯდომარისა და 3—4 წევრის შემადგენლობით.

4. სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრთა ხელმძღვანელობით ყველა სკოლაში შეიძლება შეიქმნას დროებითი ან მუდმივმოქმედი კომისიები სამუშაოთა სახეების მიხედვით (საყოველთაო სწავლების განხორციელების, პედაგოგიური პროპაგანდის, შრომითი აღზრდისა და მოსწავლეთა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის ორგანიზაციის, კულტურულ მასობრივი მუშაობის, სამეურნეო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვ.).

5. მშობელთა კომიტეტი ეხმარება სკოლას:

— პედაგოგიური კოლექტივის კავშირის განმტკიცებაში მოსწავლეთა მშობლებსა და საზოგადოებრიობასთან;

— სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებასა და საყოველთაო ათწლიან განათლებაზე გადასვლაში;

— სასკოლო ინტერნატების შექმნასა და მათში სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფაში;

— მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაში;

— საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის ათვისებაში;

— შრომითი სწავლებისა და აღზრდისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნაში;

— არასასწავლო დროს მოსწავლეებთან აღმზრდელობით მუშაობაში მშობელთა ჩაბმაში;

— მოსწავლეებთან პროფსაორიენტაციო მუშაობაში;

— კრებების, მოხსენებების, მშობლებისათვის ლექციების, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით საუბრების ოოგანიზაციასა და ჩატარებაში;

— მოსწავლეთა მიერ „მოსწავლეთა ქცევის წესების“ შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სკოლის სამეურნეო და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, კეთილმოწყობისა და მასში ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ორგანიზაციაში;

— მოსწავლეებთან გამაჯანსაღებელი და კულტ-მასობრივი მუშაობის ჩატარებაში.

6. სკოლისა და კლასის მშობელთა კომიტეტები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ ამ დებულებით, სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაციებით, სკოლის სამუშაო გეგმითა და მშობელთა კრებების დადგენილებებით.

მშობელთა კომიტეტი ადგენს ნახევარწლიურ ან წლიურ სამუშაო გეგმას. მისი კონკრეტული შინაარსი განისაზღვრება მოცემული სკოლის წინაშე მდგარი ამოცანებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

7. სკოლის მშობელთა კომიტეტი, მისი პრეზიდიუმი და კლასის მშობელთა კომიტეტები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებანი, თუ კრებას ესწრება წევრთა 2/3.

8. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტისათვის მშობელთა კომიტეტი იწვევს მშობელთა კრებას ან კონფერენციას (კლასის—ოთანაკლებ 4-ისა წელიწადში, საერთო-სასკოლოსი ;არანაკლებ—2-ისა წელიწადში). კონფერენციის დელეგატთა რაოდენობას თითოეული კლასიდან განსაზღვრავს სკოლის მშობელთა კომიტეტი.

კლასის მშობელთა კრებაზე აუცილებელია კლასის ხელმძღვანელთა დასწრება, საერთო სასკოლოზე—სკოლის დირექტორის, კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების.

შენიშვნა: სოფლის საშუალო სკოლებში, რომლებიც დიდ მიკრორაიონს ემსახურებიან ტარდება მშობელთა კონფერენციები, რომელთა დელეგატებს არჩევენ მშობელთა კრებებზე მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

9. სკოლის მშობელთა კომიტეტი თავისი მუშაობის შესახებ მანგარიშს აბარებს საერთო-სასკოლო მშობელთა კრებას (კონფერენციას), საკლასო კომიტეტი კი—კლასის მშობელთა კრებას. კომიტეტის ახალი შემადგენლობის არჩევნების დროს.

10. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის დირექტორი არ ეთანხმება მშობელთა კომიტეტის უმეტესობის აზრს, სადავო საკითხი გადაწყდება რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების მიერ.

11. სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლების ინსპექტირების დროს, ეცნობიან მშობელთა კომიტეტის მუშაობას და ღებულობენ ზომებს მისი მოქმედების ასამაღლებლად.

12. მშობელთა კომიტეტები აწარმოებენ თავიანთი სხდომებისა და მშობელთა კრებების ოქმებს, რომლებიც ინახება სკოლის საქმეებში.

III. მშობელთა კომიტეტის უფლებები

1. სკოლის მშობელთა კომიტეტს უფლება აქვს:

— დაამყაროს კავშირი საბჭოთა ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სკოლის შეფ-საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან და დაწესებულებებთან სკოლისათვის აღმზრდელობით მუშაობასა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე ბავშვთა აღზრდისადმი მშობლების დამოკიდებულების საკითხებთან დაკავშირებით;

— შეიტანოს დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს განსახილველად წინადადებები მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, ორგანიზაციულ-სამეურნეო და მოსწავლეების მშობლებთან პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. სკოლის დირექტორი და პედაგოგიური საბჭო ვალდებულნი არიან ყურადღებით განიხილონ მშობელთა კომიტეტის წინადადებები და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ აცნობონ მას.

— მოისმინონ სკოლის დირექტორის მოხსენება სკოლის მუშაობის მდგომარეობასა და პერსპექტივებზე და განმარტებანი მშობელთათვის საინტერესო საკითხებზე.

— მოისმინონ კლასების მშობელთა კომიტეტების ანგარიშები და მიიღონ გადაწყვეტილებანი მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად;

— მოიწვიონ მშობელთა კრებები და კონფერენციები;

— მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო სწავლების ფონდის შექმნასა და ხელმოკლე მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ საკითხების გადაწყვეტაში;

— ჩააბან მშობლები მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სხვადასხვა ფორმაში, ბავშვთა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში, პროფსაორიენტაციო, წრეობრივ და სხვა სახის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში.

— მოაწყონ მშობელთა მორიგეობა სკოლასა და სკოლის მიკრორაიონში.

— კლასის მშობელთა კომიტეტს უფლება აქვს წინადადებებით წარსდგეს კლასის ხელმძღვანელის წინაშე მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობისა და კლასის მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე მოისმინოს კლასის ხელმძღვანელის განმარტება მშობელთათვის საინტერესო საკითხებზე.

3. საერთო-სასკოლო მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ითვლება სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრად.

УТВЕРЖДАЮ

Министр просвещения Грузинской ССР
Т. Лашкарашвили
18 января 1971 года

ПОЛОЖЕНИЕ

о родительском комитете общеобразовательной школы

I. Задачи родительских комитетов

1. Родительские комитеты создаются в целях содействия школе в осуществлении коммунистического воспитания и обучения детей. Задачами родительских комитетов являются:

— всемерное укрепление связи между семьей и школой в целях установления единства воспитательного влияния на детей педагогического коллектива и семьи;

— привлечение родительской общественности к активному участию в жизни школы и организации внеклассной и внешкольной работы;

— помощь школе в осуществлении обязательного восьмилетнего и всеобщего среднего образования;

— участие в организации широкой педагогической пропаганды среди родителей и населения;

— помощь в укреплении хозяйственной и учебно-материальной базы школы.

II. Организация и содержание работы родительских комитетов

2. Родительский комитет школы избирается общешкольным родительским собранием или конференцией в начале каждого

учебного или календарного года сроком на один год, количество его членов устанавливается решением общего собрания (конференции) родителей в зависимости от условий работы школы.

3. Для выполнения текущей работы родительский комитет школы выбирает из своего состава:

— в средних и крупных восьмилетних школах президиум в составе председателя президиума, заместителя, секретаря и 3—5 членов президиума;

— в небольших восьмилетних и начальных школах—председателя, его заместителя и секретаря;

— в однокомплектных и двухкомплектных начальных школах—председателя.

4. Родительский комитет класса избирается общим собранием родителей класса в составе председателя и 2—4 членов.

5. Под руководством членов общешкольного родительского комитета в каждой школе могут создаваться постоянные или временные комиссии по отдельным разделам работы (по осуществлению всеобщего обучения, проведению педагогической пропаганды, по трудовому воспитанию и организации общественно-полезного труда школьников, по культурно-массовой работе, хозяйственной, спортивно-оздоровительной и др.). Состав комиссий и содержание их работы определяются родительским комитетом.

6. Родительский комитет организует помощь школе:

— в укреплении связи педагогического коллектива с родителями учащихся и общественностью;

— в осуществлении обязательного восьмилетнего обучения и перехода к всеобщему среднему образованию;

— в создании интернатов при школах и абеспечении в них надлежащих бытовых условий;

— в организации питания школьников;

— в создании и использовании фонда всеобуча;

— в создании необходимой материальной базы для трудового обучения и воспитания;

— в привлечении родителей к непосредственному участию в воспитательной работе с учашимися во внеучебное время;

— в работе по профориентации учащихся;

— в осуществлении контроля за выполнением школьниками „Правил для учащихся ;

— в организации и проведении собраний, докладов, лекций для родителей, бесед по обмену опытом семейного воспитания;

— в осуществлении мероприятий по укреплению хозяйственной и учебно-материальной базы школы, благоустройству и созданию в ней нормальных санитарно-гигиенических условий;

— проведении оздоровительной и культурно-массовой работы с учащимися в период каникул.

7. Родительский комитет школы и классные родительские комитеты руководствуются в своей работе данным Положением, рекомендациями директора школы и педагогического совета, планом работы школы и постановлениями родительских собраний.

Родительский комитет составляет план работы на полугодие или на год. Его конкретное содержание определяется с учетом местных условий и задач, стоящих перед данной школой.

8. Родительский комитет школы, его президиум и классные родительские комитеты вправе принимать свои решения при наличии на заседании не менее 2/3 его членов.

9. Для обсуждения и решения наиболее важных вопросов родительский комитет школы созывает собрания или конференции родителей (классные—не реже 4 раз в год, общешкольные—не реже двух раз в год). Количество делегатов на конференцию от каждого класса устанавливается родительским комитетом школы.

На классных родительских собраниях обязательно присутствие классного руководителя, на общешкольных—директора школы, классных руководителей и учителей.

Примечание: В сельских средних школах с большим районом обслуживания проводятся родительские конференции, делегаты которых избираются на родительских собраниях по месту жительства учащихся.

10. Родительский комитет школы отчитывается о своей работе перед общешкольным родительским собранием (конференцией), а классный комитет—перед классным родительским собранием в день выборов нового состава комитета.

11. В случае несогласия директора школы с мнением большинства родительского комитета спорный вопрос разрешается районным (городским) отделом народного образования.

12. Отделы народного образования при инспектировании школы знакомятся с работой родительского комитета и принимают меры к повышению эффективности его деятельности.

13. Родительские комитеты ведут протоколы своих заседаний и родительских собраний, которые хранятся в делах школы.

III. Права родительских комитетов

14. Родительский комитет школы имеет право:

— устанавливать связь с советскими органами, общественными организациями, шефствующими над школой предприятиями, совхозами, колхозами и учреждениями по вопроссам оказания помощи школе в проведении воспитательной работы, укрепления ее учебно-материальной базы, а также об отношении родителей к воспитанию детей;

— вносить на рассмотрение директора и педагогического совета школы предложения по внешкольной и внеклассной работе с учащимися, по организационно-хозяйственным вопроссам, по улучшению работы пелагогического коллектива с родителями учащихся. Директор школы и педагогический совет обязаны внимательно рассмотреть предложения родительского комитета и ставить его в известность о принятых решениях;

— заслушивать сообщения директора школы о состоянии и перспективах работы школы и его разъяснения по интересующим родителей вопроссам;

— заслушивать отчеты классных родительских комитетов и принимать решения по улучшению их работы;

— созывать родительские собрания и конференции;

— принимать участие в создании фонда всеобуча и решении вопросов об оказании материальной помощи нуждающимся учащимся;

— привлекать родителей к участию в различных формах идейно-политического воспитания учащихся, общественно-полезной деятельности детей, работе по профориентации, руко-

водству кружками и другими видами внеклассной и внешкольной работы;

— организовывать дежурства родителей в школе и в микрорайоне школы.

15. Классные родительские комитеты имеют право вносить предложения классному руковдителю по улучшению внеклассной работы с учащимися, по улучщению работы с родителями учащихся класса и заслушивать разъяснения классного руководителя по вопросам, интересующим родителей.

16. Председатель общешкольного родительского комитета является членом педагогического совета школы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის.

1971 წელი, 19 იანვარი

1970-1971 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ 1970—1971 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის დროულად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

დიდი მუშაობა ჩატარდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის, გასულ სასწავლო წელთან შედარებით მიმდინარე სასწავლო წელს I—X კლასებში მოსწავლეთა კონტინენტი გაიზარდა 19755 მოსწავლით (2,9%), გადაჭარბებით შესრულდა რვაკლასდამთავრებულთა მეცხრე კლასებში ჩარიცხვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 64,714 მოსწავლის (83%) ნაცვლად მეცხრე კლასებში ჩარიცხულია 65,187 მოსწავლე (73,6%) სკოლებში დაბრუნებული იქნა 7—15 წლის ასაკის 1220 ბავშვი, რომლებიც წინა წლებში ჩამოშორდნენ სწავლას, მათ შორის V—VIII კლასებში—1150 ბავშვი.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, წარმოება-დაწესებულებებმა თავიანთი სახსრებით რესპუბლიკაში აგეს ახალი სასკოლო შენობები, არსებულ სასკოლო შენობებს მიუშენეს საკლასო ოთახები; შეავსეს კაბინეტ-ლაბორატორიები, სასკოლო ბიბლიოთეკები და სასწავლო სახელოსნოები საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, წიგნებით და სხვა თვალსაჩინო მასალებით.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადნენ ქ. ქუთაისი, ქ. ჭიათურა და ხელვაჩაურის, გორის, ქარელის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ცხაკაიას რაიონები.

სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული მუშაობაა ჩატარებული ქ. თბილისში. საშეფო ორგანიზაციების მიერ ვალდებულებებით გათვალისწინებული 766,791 მანეთის ნაცვლად დახარჯულია 2,046 485 მანეთი. მიუხედავად ამისა, არ არის შესრულებული ძირითადი მაჩვენებლების დავალებანი: I—VIII კლასებში გეგმით უნდა სწავლობდეს 132,669 მოსწავლე, სწავლობს 132117 ე. ი. 552 მოსწავლით ნაკლები. ასევე არ არის შესრულებული პირველ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვის გეგმა, 17221 ბავშვის ნაცვლად პირველ კლასებში სწავლობს 14607 ბავშვი (2614 ბავშვით ნაკლები).

ამასთანავე აღსანიშნავია რიგი რაიონების განათლების განყოფილებათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შედეგებზე მასალები არ გამოუგზავნეს ბოგდანოვკის, დმანისის, კასპის, თეთრიწყაროსა და წულუკიძის რაიონებმა, ხოლო მასალები დიდი დაგვიანებით გამოგზავნეს—ბოლნისის, წალენჯიხის, ტყიბულის, ახალციხის, მესტიის, მარნეულის რაიონებმა.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. ბოგდანოვკის, დმანისის, კასპის, თეთრიწყაროს და წულუკიძის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების საკითხი სოციალისტური შეჯიბრების მასალების წარმოუდგენლობისათვის განხილულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინის-

ტროს კოლეგიის სხდომაზე „განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ“ საკითხთან ერთად.

2. დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. აკ. ჩხიკვაძე) და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო, საწარმოო-მასობრივი მუშაობის განყოფილებას (ამხ. ს, დადიანი) პრეზიდიუმისა და კოლეგიის მორიგი სხდომისათვის მოამზადონ დადგენილების პროექტი „სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულების — „პარტია—ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“,—IV საკავშირო დათვალიერებაში საქართველოს სსრ მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა მოსწავლეთა თხზულების სამი საკავშირო დათვალიერება, რომლებიც უმნიშვნელოვანეს მოვლენებს მიეძღვნა.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მოსწავლეებმა ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულების—„რევოლუციას აქვს დასაწყისი—რევოლუციას არა აქვს დასასრული“ III საკავშირო დათვალიერებაში, სადაც წარდგენილი 10 თხზულებიდან საკავშირო ჟიურის მოწონება დაიმსახურა 8 თხზულებამ.

მიმდინარე 1970—71 სასწავლო წელს მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, მათში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის შესწავლისადმი მისწრაფების აღზრდისა და შემეცნებითი და საზოგადოებრივი აქტივობის განვითარების მიზნით საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრკ განათლების სამინისტრო ატარებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულებების IV საკავშირო დათვალიერებას. თხზულების თემაა „პარტია—ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. კომკავშირის კომიტეტებმა და სახალხო განათლების განყოფილებებმა აქტიური მუშაობა გაშალონ დათვალიერების მომზადების, ჩატარებისა და შედეგების შესაჯამებლად: განმარტონ დათვალიერების მიზნები და ამოცანები. ამ სამუშაოში მაქსიმალურად ჩააბან კომკავშირული აქტივი, მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟიურის წევრები.

2 რესპუბლიკურმა ჟიურიმ 1971 წლის 15 მარტამდე საკავშირო ჟიურის წარუდგინოს დათვალიერების ჩატარების ანგარიში და ხუთი საუკეთესო ნამუშევარი, რეკომენდაცია გაუწიოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად, რადიოთი და ტელევიზიით გადასაცემად: საუკეთესო თხზულებათა ავტორები დააჯილდოოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელებით.

3. რესპუბლიკურმა გაზეთებმა: „სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, ჟურნალებმა: „პიონერი“, „სკოლა და ცხოვრება“ და რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა რეგულარული პროპაგანდა გაუწიონ დათვალიერების მიმდინარეობას, სკკპ XXIV ყრილობისათვის გამოაქვეყნონ მოსწავლეთა საუკეთესო თხზულებები.

დამტკიცდეს დათვალიერების ჩატარების რესპუბლიკური ჟიურის შემადგენლობა და დებულება (თან ერთვის).

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
ჯ. ბატიაშვილი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა თხზულების— „პარტია—ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“—IV საკავშირო დათვალიერებაში საქართველოს სსრ მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ

მოსწავლეთა თხზულებების მეოთხე საკავშირო დათვალიერება ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, მას ატარებენ საკ ალკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრკ განათლების სამინისტრო 1971 წლის 1 იანვრიდან 10 თებერვლამდე. დათვალიერებაში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების, ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების VIII—X კლ. მოსწავლეები, კლასგარეშე დაწესებულებებთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებათა წევრები.

დათვალიერების მიზანია მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, მათში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის შესწავლისადმი მისწრაფების აღზრდა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის მაგალითებზე შემეცნებითი და საზოგადოებრივი აქტივობის განვითარება.

ალკკ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სახალხო განათლების ორგანოებთან და სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად ეწევიან თხზულებათა დათვალიერების ფართო პროპაგანდას; მისი ჩატარების პირობებსა და მეთოდიკას აცნობენ კომკავშირულ აქტივს, სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს.

დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მეთოდური დახმარების აღმოჩენისათვის სკოლებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში და რესპუბლიკებში იქმნება ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლების კომკავშირული კომიტეტების წევრები, წინა დათვალიერებაში გამარჯვებულნი, მასწავლებლები, კომკავშირელები და შეკი წარმოების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის დაწესებულების მოწინავეები, კომკავშირული მუშაკები და აქტივისტები, სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაკები, სკკპ წევრები, ომისა და შრომის ვეტერანები, აგრეთვე პოეტები, მწერლები, ჟურნალისტები და კომპოზიტორები.

კომკავშირის კომიტეტები და თხზულებათა საკავშირო დათვალიერების ჟიური განსაზღვრავენ საუკეთესო ნამუშევრებს და სამ საუკეთესო თხზულებას (თითოს—მერვე, მეცხრე და მეათე კლასებიდან) 1971 წლის 10 თებერვლისათვის გადაუგზავნიან რაიონულ, საქალაქო ჟიურის.

თხზულებათა საკავშირო დათვალიერების საქალაქო და რაიონული ჟიურის წევრები 1971 წლის მარტისათვის გადაუგზავნიან საუკეთესო ნამუშევრებს რესპუბლიკურ ჟიურის.

თხზულებათა საკავშირო დათვალიერების რესპუბლიკური ჟიური აგზავნის ანგარიშს დათვალიერების ჩატარების შესახებ და 5 საუკეთესო თხზულებას (ერთი—VIII კლასის მოსწავლის, ორორი—IX და X კლასებისა) არაუგვიანეს 15 მარტისა, მისამართით: ქ. მოსკოვი, საკ. ალკკ ცკ, მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილება, მოსწავლეთა თხზულებების საკავშირო დათვალიერების ჟიური (თხზულებები, დაწერილი ნაციონალურ ენაზე, უნდა ითარგმნოს რუსულად).

რესპუბლიკური ჟიური საუკეთესო ნამუშევრებს რეკომენდაციას უწევს რესპუბლიკურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოებში, გამომცემლობა „ნაკადულსა“ და „განათლებაში“ გამოსაქვეყნებლად, წაახალისებს საუკეთესო თხზულებათა ავტორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი მიძღვნილ მოსწავლეთა თხზულების—„პარტია—ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი“—საკავშირო დაოვალიერების რესპუბლიკური ჟიურის შემადგენლობა

1. აბაშიძე გ.—მწერალი, ჟიურის თავმჯდომარე
2. ლომიძე ზ.—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოადგილე
3. გასპარაშვილი ვ.—განათლების სამინისტროს მეთოდისტი
4. ჩარკვიანი ჯ.—პოეტი, ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორი
5. პაიჭაძე ფ.—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წიგნზე მუშაობის კაბინეტის გამგე
6. ცერცვაძე ი.—გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი
7. შელია ბ.—ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი
8. ბეთანიშვილი ნ.—საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო და ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქტორი
9. გამყრელიძე ნ.—საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქტორი
10. ბაჩილავა მ.—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი
11. კაჭარავა ვ.—საქართველოს კომკავშირული მოძრაობის ვეტერანი
12. ოგანეზაშვილი—ლ. გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
13. მჭედლიძე ა.—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
14. ქურციკიძე ე.—განათლების სამინისტროს ინსპექტორი

15. ალავერდაშვილი გ.—გაზეთ „სახალხო განათლების“ განყოფილების გამგე

16 შახსუვარიანი ს.—განათლების სამინისტროს ინსპექტორი

17. ბირიუკოვა ლ.—თბილისის 41-ე საშუალო სკოლის პედაგოგი

18. ამზოევი ს.—განათლების სამინისტროს ინსპექტორი

19. ოჩიკავა მ.—ქ. თბილისის 136-ე ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგი

20. თომაძე მ.—ბავშვთა მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის განყოფილების გამგე

21. გაჯილაროვი ქ.—განათლების სამინისტროს ინსპექტორი

22. რიზაევა ა.—ქ. თბილისის 73-ე საშუალო სკოლის პედაგოგი

23. დვალი ს.—განათლების სამინისტროს ინსპექტორი

24. კეკელიძე მ.—ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ განყოფილების გამგე.

25. ბურშტეინი ი.—ქ. თბილისის განათლების განყოფილების მეთოდისტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 22 იანვრის ბრძანება № 23

დამხმარე სკოლა-ინტერნატების ახალი პროგრამების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1970 წლის 13 ნოემბრის № 30/2 კოლეგიის გადაწყვეტილების შესასრულებლად,

ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტთან (ამხ. მ. ყოლბაიასთან) ერთად:

ა) 1971 წლის I-ელ ივლისამდე უზრუნველყოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ მოწონებული პროგრამების (მათემატიკაში (I—VIII კლ.), ბუნებისმცოდნეობაში (V—VIII კლ.), ისტორიაში (VI—VIII კლ.), გეოგრაფიაში (V—VIII კლ.) სახვით ხელოვნებაში (I—VI კლ.), ფიზკულტურაში (I—VIII კლ.), სიმღერასა და მუსიკაში (I—VI კლ.) ხელგარჯილობაში (I—III კლ.) თარგმნა, დაბეჭდვა, დაგზავნა;

ბ) 1971 წლის I-ელ აგვისტომდე შეადგინოს, წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად, დაბეჭდოს და ადგილებზე დაგზავნოს ორიგინალური პროგრამები ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I—VIII კლ.), რუსულ ენაში (IV—VIII კლ.) ქართულ ენაში (IV—VIII კლ.).

2. დამხმარე სკოლა-ინტერნატების ახალ პროგრამებზე გადასვლის წარმოდგენილი ტიპობრივი გრაფიკი დამტკიცდეს (იხ. დანართი № 1).

3. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ.

მ. ყოლბაიამ) შეადგინოს სპეციალური სკოლა-ინტერნატების ორიგინალური და რუსულიდან სათარგმნელი სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა და 1971 წლის 20 აპრილამდე წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 1

დამხმარე სკოლა-ინტერნატების ახალ პროგრამებზე გადასვლის ტიპობრივი გრაფიკი

№	საგნების დასახელება	1971/72 სასწ. წელი	1972/73 სასწ. წელი	1973 74 სასწ. წელი	1874/75 სასწ. წელი	1975/76 სასწ. წელი
1	მშობლიური ენა და ლიტერატურა .	I—IV	V—VIII	—	—	—
2	მათემატიკა	I—IV	V—VIII	—	—	—
3	ბუნებისმცოდნეობა . .	—	V	VI	VII	VIII
4	გეოგრაფია	—	V	VI	VII	VIII
5	ისტორია	—	—	VI	VII	VIII
6	სახვითი ხელოვნება .	I—IV	V—VIII	—	—	—
7	სიმღერა და მუსიკა . .	I—IV	V—VIII	—	—	—

შენიშვნა: ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით დროებით გამოიყენება მოქმედი სახელმძღვანელოები. მითითებანი მუშაობისას ახალი პროგრამებით სარგებლობის შესახებ დაშვებული იქნება 1971/72 სასწავლო წლის დაწყებისათვის სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 25 იანვრის ბრძანება № 29

სიღნაღის დამხმარე და ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1970 წლის 6 თებერვლის დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 8 მაისის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

სიღნაღის ყრუ ბავშვთა და დამხმარე სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, მათ საქმიანობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს (დირექტორი პ. ნადირაძე) პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე არ განუხილავს და არ უმსჯელია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 6 თებერვლის დადგენილების „საქართველოს სსრ-ში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლების მუშაობის მდგომარეობის შესახებ“ და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 8 მაისის ბრძანების ირგვლივ; ხოლო დამხმარე სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ნ. ნადირაძე) საკითხი განუხილავთ, მაგრამ ღონისძიებები არ დაუსახავთ. სკოლა-ინტერნატის დირექტორები არ სწავლობენ ანომალურ ბავშვებთან მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ცალკეული დისციპლინების სწავლების მდგომარეობას, არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

შემოწმებულ სკოლა-ინტერნატებში არ იცავენ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1969 წლის 11 თებერვლის ინსტრუქციას „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლებში მიღების შესახებ“, რის გამო ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში ჩარიცხულია 8 სმენადაქვეითებული ბავშვი

ხოლო დამხმარე სკოლა-ინტერნატში 1 იმბეცილი, 1 სმენადაქვეითებული და 3 ნორმალური განვითარების ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებულ სკოლა ინტერნატებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომითი სწავლება და აღზრდა, ცხოვრებისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის აღსაზრდელთა მომზადება. სასწავლო სახელოსნოებისათვის არაა გამოყოფილი შესაფერი ოთახები, ისინი არ არიან აღჭურვილი საჭირო რაოდენობის ხელსაწყოიარაღებითა და დანადგარებით. არ მარაგდებიან სამუშაო მასალებით. სახელოსნოებში არაა დიდაქტიკური მასალა. აღსაზრდელთა შრომა ატარებს წვრილ ხელოსნურ ხასიათს და არ ხდება პროგრამით გათვალისწინებული მასალის საფუძვლიანი ათვისება. ჰიგიენური პირობების დაცვის მიზნით არაა შემოღებული აღსაზრდელთათვის სპეცტანსაცმელი და არ ექცევა ყურადღება აღსაზრდელთა შორის უსაფრთხოების წესების დანერგვასა და დაცვას.

შრომის მასწავლებლებად აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებში გამოყენებულია დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები. სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატში შრომის მასწავლებლად მუშაობს ამავე ინტერნატის მძღოლი მ. სიყმაშვილი, ხოლო ჭრაკერვის სახელოსნოში ბიბლიოთეკარი ნ. ბოლაშვილი.

სიღნაღის რაიონის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში არ მუშაობს არცერთი სპეციალისტი დეფექტოლოგი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სიღნაღის დამხმარე და ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (ამხ. ამხ. ნ. ნადირაძე, პ. ნადირაძე):

ა) პედაგოგიური საბჭოების სხდომაზე განიხილონ, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 6 თებერვლის დადგენილების „საქართველოს სსრ-ში გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლების მუშაობის შესახებ“ და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 8 მაისის № 254 ბრძანების ცხოვრებაში გასატარებლად;

ბ) დაუყოვნებლივ გადაიყვანონ არასწორად ჩარიცხული ზოგიერთი აღსაზრდელი შესაბამის სკოლა-ინტერნატში და მომავალში აღსაზრდელთა ჩარიცხვა აწარმოონ მხოლოდ მედიკურ-პედაგოგიური კომისიების გადაწყვეტილებისა და განათლების სამინისტროს განკარგულების საფუძველზე;

ბ) სერიოზული ყურადღება დაუთმონ აღსაზრდელთა შრომითი სწავლებისა და სახელოსნოების კეთილმოწყობას. არ დაუშვან აღსაზრდელები სახელოსნოებში სპეცტანსაცმლის გარეშე.

2. ვინაიდან 1971—1972 სასწავლო წლისათვის სიღნაღის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში რჩება მხოლოდ 20—25 აღსაზრდელი, დაევალოს სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ე. დალაქიშვილს შეისწავლოს საკითხი ამ სკოლა-ინტერნატის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ და რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ მიმდინარე წლის 25 მაისამდე წარმოადგინოს სათანადო წინადადება.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ 26 იანვრის ბრძანება № 31

ხაშურის რაიონის სოფელ ალის საშუალო სკოლაში მომხდარი ხანძრის შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1970 წლის 28 დეკემბერს ღამით, ხანძარი გაუჩნდა ხაშურის რაიონის სოფელ ალის საშუალო სკოლას (დირექტორი ა. ნოზაძე), რის შედეგადაც მთლიანად დაიწვა სკოლის ხის შენობა და ნაწილობრივ ორსართულიანი შენობის სახურავი, სასკოლო ინვენტარისა და დოკუმენტაციის დიდი ნაწილი. ხანძრის შედეგად გამოწვეული ზარალის ღირებულება წინასწარი მონაცემებით შეადგენს 5347 მანეთს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის რაიონის განათლების განყოფილებამ.

ა) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი სოფ ალის საშუალო სკოლისათვის შენობის გამონახვისა და ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად;

ბ) 1971 წლის 30 იანვრამდე წარმოადგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში განაცხადი სკოლისათვის აუცილებელი ინვენტარისა და სასწავლო ხელსაწყოების გამოყოფის შესახებ.

2. მიღებული იქნეს ცნობად, რომ სოფ. ალის საშუალო სკოლის ხანძრის გამომწვევ მიზეზებს იკვლევს ხაშურის რაიონის საგამომძიებლო ჯგუფი.

3. ეთხოვოს ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს საგამომძიებლო ჯგუფის ნარკვევი მასალა

უახლოეს დროში განიხილოს აღმასკომის ხდომაზე და შედეგები აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 26 იანვრის ბრძანება № 32

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების VI—VII კლასებში ახალი პროგრამებით ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

როგორც საკითხის შესწავლით და ადგილებიდან წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად ფიზიკის სწავლების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლა-ინტერნატებში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული: საგრძნობლად გაიზარდა ფიზიკის კაბინეტების აღჭურვილობა ტექნიკური საშუალებებით, სისტემატურად სწარმოებს მათი შევსება ახალი კონსტრუქციის ხელსაწყო-იარაღებით.

მიმდინარე სასწავლო წელს რეკონსტრუქცია გაუკეთდა ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკისა და ქ. ბათუმის სკოლა-ინტერნატების ფიზიკის კაბინეტებს. ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ი. დიასამიძე) ფიზიკის კაბინეტისათვის გამოიყო სამი ოთახი, დამონტაჟდა ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებელი ოთახი, ავტომატიზირებულია კინოფილმებისა და დიაპროექციების ჩვენება, ფანჯრების დაბნელება და სხვ. ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ვ. მელაძე) დაზიანებულ ხელსაწყოთა შესაკეთებლად და თვითნაკეთი ხელსაწყოების დასამზადებლად მოეწყო სპეციალური სახელოსნო.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი მეთოდურად მაღალ დონეზე გადასცემს ახალ მასალას. ცდების ჩატარებითა და შესაბამისი მაგალითების მოყვანით მოსწავლეთათვის გასაგებს ხდის ფიზიკურ მოვლენებს, ცნებებსა და კანონებს. კასპის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელმა დ. თეთვაძემ VII კლასში „სითბური ძრავების“ სწავლებისას გამოიყენა მოქმედი მოდელები, სქემები, კინო-

ფილმი, მოაწყო ექსკურსია თბომავალზე, მოსწავლეებს გააცნო ძრავის აგებულება და მოქმედება, უამბო ქართველი რაციონალიზატორის მიღწევებზე ლოკომოტივის გაუმჯობესების საქმეში.

ასევე კარგად აქვთ დაყენებული საგნის სწავლება მასწ. თ. ჩალაძეს და ო. დელიბალტოვს (კაჭრეთისა და კოჯრის სკოლა-ინტერნატები).

მაგრამ რიგ სკოლა-ინტერნატებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ფიზიკის სწავლებისათვის სათანადო სასწავლო ბაზა. არასაკმაო ფართობია გამოყოფილი კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის. ბევრი კაბინეტი მინიმალურად არ არის შევსებული ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით. ზოგან ინვენტარი არასაკმარისია.

გლდანის პირველ, მეორე, ბოგდანოვკის სკოლა ინტერნატებში 10—12 კვადრატული მეტრის ფართობია გამოყოფილი კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის. თბილისის 8-წლიან სკოლა-ინტერნატში სათანადოდ არ არის დაცული ხელსაწყო-იარაღები.

სკოლა-ინტერნატების ერთ ნაწილს დიდი რაოდენობით აკლია სადემონსტრაციო ხელსაწყო-იარაღები. ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით VI—VIII კლასებში მექანიკაში უნდა იყოს 58 დასახელების ხელსაწყო-იარაღი, მაგრამ რუსთავის სკოლა-ინტერნატს აქვს 25, მახუნცეთისას 18, ჩხოროწყუსას—8, გეგეჭკორისას—2 და ა. შ.

მოლეკულურ ფიზიკასა და სითბოში ნორმით გათვალისწინებულია 19 დასახელების ხელსაწყო, მაგრამ ატენის სკოლა-ინტერნატს აქვს მხოლოდ 7, ახალციხისას—6, გორდისას—2, წულუკიძისას კი არცერთი და ა. შ.

ელექტრობაში ნორმით დაწესებული 37 სახელწოდების ხელსაწყო-იარაღიდან ლაჯანურის სკოლა-ინტერნატს აქვს მხოლოდ 17, ახალდაბისას—12. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ყაზბეგისა და წულუკიძის სკოლა-ინტერნატებში.

ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოს შესრულებისათვის გათვალისწინებულია 41 სახელწოდების 204 ხელსაწყო-იარაღი, გორდის 8-წლიან სკოლა-ინტერნატს აქვს 6 სახელწოდების 30 ცალი ხელსაწყო, თბილისის რვა წლიანს—11 სახელწოდების 66 ხელსაწყო. თეთრიწყაროსას 22 სახელწოდების 58 ხელსაწყო.

პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელია 9 სახელწოდების 27 ხელსაწყო. რესპუბლიკის თითქმის ყველა სკოლა-ინტერნატში არის მხოლოდ 4—5 დასახელების 4—10 ხელსაწყო.

სკოლა-ინტერნატებში ასევე მცირე რაოდენობითაა ნაბეჭდი დამხმარე საშუალებანი, დიაპოზიტივები, დიაფილმები, ხოლო ულებით არ არის კინოფრაგმენტები და კინოგოლები. ზოგჯერ კაბინეტები გადატვირთულია ზედმეტი ხელსაწყოებით.

არ იგრძნობა შეფი ორგანიზაციებისა და მხრუნველთა საბჭოების დახმარება ამ საქმეში.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება შემოწმებულ სკოლა-ინტერნატების ერთ ნაწილში, მასწავლებლები სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ვერ ფლობენ საგნის სწავლების მეთოდებს, ხერხებსა და ცდის დაყენების ტექნიკას.

გლდანის პირველ სპორტულ სკოლა-ინტერნატში ფიზიკას ასწავლის ქიმიკოსი თ. მახვილაძე. იგი ახალი მასალის ახსნის ნაცვლად სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის მოკლე შინაარსს მოუთხრობს. VII კლასში თემის „აორთქლება და კონდენსაციის" გადაცემისას მან ვერ შესძლო აორთქლებისას სხეულის გაცივების ჩვენება. დასახელებული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია.

ასევე მეთოდურად დაბალ დონეზე გადასცემს ფიზიკის გაკვეთილებს თბილისის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი ვ. ტურიშვილი. მან ახალი მასალის—„კრისტალური სხეულების დნობა და გამყარება" ახსნა დაამთავრა 10 წუთში და უმარტივესი ცდებიც კი არ უჩვენა.

პედაგოგიურ დახელოვნებას საჭიროებს საგურამოს სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი ნ. ციხელაშვილი. იგი ამოცანების ამოხსნას ყოველგვარი ანალიზის გარეშე იწყებს, მას შეუმჩნეველი რჩება მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომები.

მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება ახალი პროგრამით გათვალისწინებული საკითხების სწავლება. ქუთაისის საშუალო, თბილისისა და ჭომის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების VI—VII კლასის მოსწავლეები (მასწ. ალ. სანიკიძე, ა. მაისურაძე, შ. ზვიადაძე) ვერ ერკვევიან საშუალო სიჩქარის, სითბოტევადობის, კუთრი სითბოტევადობისა და სიმკვრივის არსში.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შემოწმებისა და შეფასების საკითხი. მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნები ხშირ შემთხვევაში გამოყვანილია მეოთხედში მხოლოდ ერთხელ გამოკითხვის საფუძველზე. არის ისეთი შემთხვევაც, როცა მეოთხედის მანძილზე მოსწავლე არცერთხელ არ არია შემოწმებული, მეოთხედის ბოლოს კი დადებითი ნიშნითაა შეფასებული.

პირველ მეოთხედში გორდის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატის VI კლასში (მასწ. ლ. ღაჭავა, აღმხრდელები: გ. ჩიქოვანი და გ. კვაბხირიძე) 27 მოსწავლეა შეფასებული, აქედან ერთხელ გამოკითხვის საფუძველზე დაწერილია 13 ნიშანი, ჭომის სკოლა-ინტერნატში—45 მოსწავლეა (მასწ. შ. ზვიადაძე, აღმხრდელები: ნ. ხაჭაპურიძე და ნ. ფოცხვერია) ერთხელ გამოკითხვის საფუძველზე შეფასებულია 31, რვა მოსწავლეს მიმდინარე აღრიცხვით ეკუთვნის „2“, მეოთხედური შეფასება კი აქვს „3“. 11 მოსწავლე მეოთხედის განმავლობაში სრულიად არ ყოფილა შეფასებული, მაგრამ მეოთხედის ბოლოს შეფასებულია დადებითი ნიშნით.

ქ. ქუთაისის საშუალო სკოლა-ინტერნატის VII კლასში (მასწ. ა. სანიკიძე, აღმხრდელები: მ. იაშვილი და შ. შავგულიძე) შეფასებულია 33 მოსწავლე, აქედან ერთხელ გამოკითხვის საფუძველზე მეოთხედის ბოლოს ნიშანი აქვს დაწერილი 6-ს, ხოლო მიმდინარე აღრიცხვის გარეშე 27 მოსწავლეს.

გლდანის პირველ სპორტულ სკოლა-ინტერნატში პირველ მეოთხედში მოსწავლეთა შეფასება ლიბერალურია (მასწ. გ. გავაშელი და თ. მახვილაძე). შესწავლილი სკოლა-ინტერნატების VI—VII კლასებში ხუთოსან მოსწავლეთა რიცხვი ფიზიკაში 2, 3—2, 5%-ს არ აღემატება.

შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მოსწავლეთა სუსტი ზომზადება განაპირობა სასწავლო პროცესის დაბალმა დონემ, სუსტმა მატერიალურმა ბაზამ, ფიზიკის მასწავლებლებისადმი არასაკმარისმა დახმარებამ და კონტროლმა.

მასწავლებლები გაცნობილი არ არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 7 აგვისტოს № 583 ბრძანებას „რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და 1964 წლის 13 თებერვლის საინსტრუქციო მეთოდურ წერილს „ზოგადსაგანმანათლებლო რვა-

წლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოწმებისა და შეფასების შესახებ".

სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელები არ უწევენ კონტროლს და დახმარებას ფიზიკის მასწავლებლებს. ფიზიკაში წრეობრივი მუშაობა ძირითადად მოსსენების კითხვით შემოიფარგლება. არ მუშაობენ ტექნიკური წრეები.

ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტები სუსტად მუშაობენ. მათ არ გააჩნიათ ექსპეიმენტის მომზადების ელემენტარული ჩვევები. ვერ ცნობენ ხელსაწყო-იარაღებს, რის გამოც საჭირო დახმარებას ვერ უწევენ ფიზიკის მასწავლებლებს.

არადამაკმაყოფილებელია აღმზრდელთა ხელმძღვანელობა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისისა და საგურამოს რვაწლიან სკოლა-ინტერნატებში აღმზრდელებად ფიზიკის მასწავლებლები (ა. მაისურაძე, ვ. ტურიშვილი, ნ. ციხიშვილი) არიან, მოსწავლეთა მომზადების დონე დასახელებულ საგანში დაბალია.

რაიონებისა და ქალაქების განყოფილებები იშვიათად ამოწმებენ სკოლა-ინტერნატებში ფიზიკის სწავლებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ ფიზიკის კაბინეტები სათანადო დგამავეჯით. სისტემატურად აწარმოონ მათი შევსება ხელსაწყო-იარაღებით, ნაბეჭდი დამხმარე საშუალებებით, დიაპოზიტივებითა და მასალებით;

ბ) ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობის მოვლა-დაცვაზე მატერიალური პასუხისმგებლობა, კაბინეტის გამგეებთან ერთად, დააკისრონ ლაბორანტებსაც;

გ) სისტემატურად შეამოწმონ ფიზიკის მასწავლებლების მუშაობა. აამაღლონ მასწავლებელთა პასუხისმგებლობა და იზრუნონ მათ მეთოდურ დახელოვნებაზე;

დ) ისე დაგეგმონ სასწავლო სახელოსნოების მუშაობა, რომ გაითვალისწინონ ფიზიკის კაბინეტების შევსება თვითნაკეთი ხელსაწყო იარაღებით, დაზიანებული ხელსაწყოების შეკეთება და სადემონსტრაციო ცდებისათვის დგამების დამზადება.

2. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატურად შეისწავლონ სკოლა-ინტერნატებში ახალი პროგრამებით ფიზიკის სწავლების მდგომარეობა და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი საგნის სწავლების გაუმჯობესებისათვის;

ბ) ჩაატარონ კაბინეტ-ლაბორატორიების ზუსტი აღწერა და ზედმეტი ხელსაწყო-იარაღები გადანაწილონ სხვა სკოლებზე;

გ) მიიღონ გადამჭრელი ზომები ფიზიკის მასწავლებელთა რაიონული გაერთიანების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

3. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საკამოს სკოლების სამმართველოებმა (ამხ. ამხ. ა. ჩხიკვაძე, რ. კანდელაკი, ვ. ჩინჩალაძე):

ა) მოამზადონ დებულება ლაბორანტ ს უფლება-მოვალეობის შესახებ;

ბ) მოამზადონ საინსტრუქციო-მეთოდური წერილი საკონტროლო წერითი ნორმების შემოღების შესახებ ფიზიკაში.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები საჭირო რაოდენობის ფიზიკის ხელსაწყო-იარაღებით და მასალებით.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია) სისტემატურად გამოაქვეყნონ წერილები ახალი პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად ფიზიკის სწავლების საკითხებზე.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 27 იანვრის ბრძანება № 34

საჩხერისა და ჭიათურის საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ ჭიათურის და საჩხერის საბავშვო სახლებს (დირექტორები შ. გოგოლაძე, გ. ხვედელიძე) მუშაობაში წარმატებებთან ერთად გააჩნიათ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

ორივე საბავშვო სახლი მოთავსებულია შეგუებულ შენობებში, სადაც არ არის შექმნილი საჭირო პირობები აღსაზრდელთა სწავლა აღზრდისათვის. ჭიათურის საბავშვო სახლის ზოგიერთი კორპუსი ავარიულ მდგომარეობაშია. იმის გამო, რომ წლების განმავლობაში არ ჩატარებულა რემონტი, ხის საყრდენი ნაწილები მთლიანად გამოსაცვლელია, ხოლო სამზარეულოს იატაკი და საძინებელი კორპუსის აივანი საგრძნობლად დაწეული. სველი წერტილები გამოსულია წყობილებიდან. ხშირად ითიშება ელექტროდენი, რაც აფერხებს სამზარეულოს მუშაობას და ხელს უშლის დღის მეორე ნახევარში მეცადინეობის ჩატარებას.

საჩხერის საბავშვო სახლი მოთავსებულია ყოფილ საავადმყოფოს შენობაში. სიბნელეა საძინებელ და სამეცადინო ოთახებში. საქტო დარბაზად გამოყენებულია შემინული დერეფანი, სადაც ზამთრის პერიოდში სიცივის გამო რაიმე ღონისძიების ჩატარება შეუძლებელია.

სივიწროვეა ორივე საბავშვო სახლის საძინებელში, საღმზრდელო ჯგუფებში, იზოლატორებში, სასადილოებსა და სამზარეულოებში.

ჭიათურის საბავშვო სახლის ეზო კეთილმოუწყობელია. დღემდე გაუკეთებელია შიდა მისასვლელი გზები. ხმარებიდან გამოსულია ზოგიერთი რბილი და ძაგარი ინვენტარი: საწოლები, მაგი-

ლები, საბნები, ლეიბები და სხვა. საკმაო რაოდენობით არ აქვთ სკამები. ბავშვები სხედან პრიმიტიულად დამზადებულ გრძელ მერხებზე.

შემოწმებულ საბავშვო სახლებში ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას. არ აქვთ გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალკე იზოლატორი, აკლიათ ზოგიერთი სახის სამედიცინო ინვენტარი. ჭიათურის საბავშვო სახლის შენობა-ნაგებობებში ყველგან არ არის დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. ადგილი აქვს ბავშვთა ავადმყოფობის შემთხვევებს.

საბავშვო სახლების დღის რეჟიმი არ არის შედგენილი თითოეული საალმზრდელო ჯგუფისათვის დიფერენციულად. მასში არაა გათვალისწინებული ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი.

ჭიათურის საბავშვო სახლის აღმზრდელთა სამუშაო გეგმები ზოგადია. იგი არ დგება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით. საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილეს საალმზრდელო დარგში მ. სამხარაძეს სამუშაო გეგმები ზერელედ აქვს განხილული, რის შედეგად აღმზრდელების ვ. სამყურაშვილის, დ. მენაპირის, ლ. ფხალაძისა და ნ. მოდებაძის მეოთხედურ სამუშაო გეგმებში დაშვებულია ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ხასიათის შეცდომები.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება საბავშვო სახლის პედსაბჭოს მუშაობა. ჭიათურის საბავშვო სახლის პედსაბჭოს სხდომებზე არ აქვთ განხილული აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები. სხდომებზე მიღებული დადგენილებები ზოგადია.

შემოწმებულ საბავშვო სახლებში დაბალ დონეზეა დაყენებული კულტმასობრივი მუშაობა. ნაკლებად ტარდება ღონისძიებანი აღსაზრდელთა ესთეტიკური აღზრდის გასაუმჯობესებლად. არ ეწყობა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, ექსკურსიები და სხვა.

საბავშვო სახლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული აღსაზრდელთა შრომითი სწავლება. სახელოსნოებისათვის გამოყოფილია მცირე ფართობის ოთახები, შეძენილი არ აქვთ საჭირო იარაღები და ხელსაწყოები. საჩხერის საბავშვო სახლის ჭრაკერვის ოთახში მხოლოდ ერთი საკერავი მანქანაა და ისიც დაზიანებული.

აღნიშნული საბავშვო სახლები სათანადოდ არ მარაგდება საჭირო რაოდენობის კვების პროდუქტებით. აღსაზრდელთა კვების მენიუ ხშირად ერთფეროვანია.

ამჟამად საჩხერის საბავშვო სახლის მშენებლობა შეჩერებულია სათანადო სახსრების უქონლობის გამო, ხოლო ჭიათურის საბავშვო სახლის ახალი შენობის დაპროექტება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ჭიათურისა და საჩხერის საბავშვო სახლების აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ჭიათურისა და საჩხერის საბავშვო სახლების დირექტორებმა (ამხ. ამხ. შ. გოგოლაძემ, გ. ხვედელიძემ):

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ საბავშვო სახლის მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, მიაღწიონ მთელი პედაგოგიური პერსონალის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას;

ბ) განამტკიცონ დისციპლინა აღსაზრდელთა შორის, ყოველმხრივ გაზარდონ საბავშვო სახლების აღმზრდელთა პასუხისმგებლობა ცოდნის ამაღლების საქმეში;

გ) პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სისტემატურად განიხილონ სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინონ საბავშვო სახლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, იზრუნონ სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და სამუშაო მასალებით შესავსებად;

ე) მიიღონ ყველა ზომა საბავშვო სახლებში სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად;

ვ) მეტი ყურადღება მიაქცინონ აღსაზრდელებში თვითმომსახურებას და პირადი ჰიგიენის ჩვევების დანერგვას.

2. ჭიათურისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. გ ცხადიაშვილი, ა. ლომიძე).

ა) სისტემატურად იზრუნონ საბავშვო სახლების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

ბ) საჭირო დახმარება გაუწიონ საბავშვო სახლებს შენობის რეკონსტრუქციის დამთავრებისა და კაპიტალური რემონტის დროულად ჩატარების საქმეში;

გ) 1971 წლის 10 სექტემბრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათები ამ გრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. საბავშვო სახლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ჭიათურის საბავშვო სახლის დირექტორს შ. გოგოლაძეს გამოეცხადოს საყვედური.

4. მომარაგებისა და დახმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს საბავშვო სახლები საჭირო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ გრძანების შესრულებაზე;

ბ) 1971 წლის IV კვარტალში ადგილზე მოახდინოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 15 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 1 თებერვლის ბრძანება № 54

თელავის, ზუგდიდის, ვანისა და ჩოხატაურის რაიონების ზოგიერთ სკოლაში ახალი პროგრამით ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა თელავის, ზუგდიდის, ვანისა და ჩოხატაურის რაიონების ზოგიერთ სკოლაში ბიოლოგიის სწავლების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ბიოლოგიაში ახალი პროგრამით და სახელმძღვანელოთი მუშაობამ უდაოდ ხელი შეუწყო ამ საგნის სწავლების გაუმჯობესებას.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი თავის მუშაობაში მტკიცედ ეყრდნობა ბიოლოგიური მეცნიერების ახალ მიღწევებს, მოსწავლეებს აძლევს მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას, ხელს უწყობს მათში მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, უვითარებს სიყვარულს ბუნებისადმი; უზრუნველყოფს სწავლებაში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას.

ბიოლოგიას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ლ. სართანია (ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლა), ზ. ნარსია (ზუგდიდის რაიონის ორსანტიის საშუალო სკოლა), ი. ჟღენტი და ე. კუტუბიძე (ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლა), ლ. გიორგაძე (ჩოხატაურის რაიონის, დაბლაციხის საშუალო სკოლა), ს. გალახვარიძე (თელავის რაიონის კონდოლის საშუალო სკოლა), ე. დათუკაშვილი (თელავის რაიონის წინანდლის საშუალო სკოლა). ეს მასწავლებლები ბიოლოგიის გაკვეთილებს მომზადებულად ატარებენ, იყენებენ თვალსაჩინოებას, ცოცხალ მასალას, ტექნიკურ საშუალებებს, ატარებენ ახალი პროგრამით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს, ცდებს, დაკვირვებებს, ექსკურსიებს.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მასწავლებელი ლ. სართანია, მისი ხელმძღვანელობით მოსწავლეები ატარებენ ბიოლოგიის ახალი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა ცდასა და დაკვირვებას, შეგნებულად პასუხობენ როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თელავის, ზუგდიდის, ვანისა და ჩოხატაურის რაიონების რიგ სკოლებში ბიოლოგიის სწავლებაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ბიოლოგიას ნ. ვახტანგიშვილი (თელავის I საშუალო სკოლა), ნ. სიხარულიძე (ჩოხატაურის I საშუალო სკოლა), ლ. ნანავა და ლ. ცხაკაია (ზუგდიდის რაიონის დარჩელის, საშუალო სკოლა), შ. დვალიშვილი (ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლა). ეს მასწავლებლები სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას, კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რაც უმაღლეს სასწავლებელში შეუსწავლიათ. მოსწავლეებს არ აქვთ მასალის საფუძვლიანი ცოდნა. მასწავლებელმა ლ. ნანავამ VI კლასში ერთეულრედიანი წყალმცენარეები ახსნა მხოლოდ ქლამიდომონადას მაგალითზე და არაფერი უთხრა მოსწავლეებს ქლორელასა და პლევროკოკის შესახებ. მასწავლებელმა მ. დვალიშვილმა VIII კლასში ახალი მასალა „სუნთქვის მნიშვნელობა და ცხვირის ღრუ" ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ახსნა, მაშინ, როცა კაბინეტში ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ასევე ზეპირსიტყვიერად ახსნა ახალი მასალა VII კლასში—„უკუდო ამფიბიები".

ახალ სასწავლო პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით მეტი მუშაობა სჭირდებათ ვანის რაიონის ამაღლებისა და შუამთის საშუალო სკოლების მასწავლებლებს შ. ჭყონიას და ე. გოგაძეს, ზუგდიდის რაიონის ორსანტიის საშუალო სკოლის მასწავლებელს ვ. ჯიჭონაიას, იმავე რაიონის ოქტომბრის საშუალო სკოლის მასწავლებლებს ვ. რაფავას და გ. ლოგუას.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში ბიოლოგიის კაბინეტებისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო ოთახები; კაბინეტები მეტად ღარიბია თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით, განსაკუთრებით ზოგად ბიოლოგიაში; არ გააჩნიათ სადემონსტრაციო და მოსწავლეთა მაგიდები, რის უქონლობაც დიდად

აფერხებს პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში სუსტად არის გამოყენებული სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები (თემატიკის მიხედვით).

სკოლებში სუსტად მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა წრეები. მათ მეცადინეობაზე ძეტწილად კმაყოფილდებიან რეფერატების კითხვით, პრაქტიკულ საკითხებს და ცდებს კი ნაკლები ყურადღება ეთმობა.

მასწავლებლების ნაწილი სრულიად არ მოითხოვს მოსწავლეებისაგან ბიოლოგიაში სპეციალური რვეულების წარმოებას, ზოგიერთი კი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მათ შემოწმებას.

საკონტროლო წერების ჩატარებისა და მათი გასწორების საქმეშიც შეინიშნება ბევრი ნაკლოვანებანი.

სკოლის დირექტორების უმრავლესობა იშვიათად ესწრება ბიოლოგიის გაკვეთილებს; მასწავლებლებს სათანადო მეთოდურ დახმარებას არ უწევენ აგრეთვე რაიონული პედაგოგიური კაბინეტები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბიოლოგიის მასწავლებლებმა:

ა) თავის თავზე სისტემატური მუშაობით აიმაღლონ კვალიფიკაცია, ღრმად დაეუფლონ ახალ პროგრამებს, საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. საფუძვლიანად მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის და უზრუნველყონ მისი მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩატარება;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები სასწავლო კაბინეტების მოწყობისა და შევსებისათვის, სრულ წესრიგში მოიყვანონ ხელსაწყოიარაღები და აწარმოონ მათი ზუსტი აღრიცხვა. ამ საქმეში უზრუნველყონ მოსწავლეთა აქტიური ჩაბმა;

გ) არ დაუშვან ოვალსაჩინოების გარეშე გაკვეთილების ჩატარება. სისტემატურად ჩაატარონ პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობები და პრაქტიკული სამუშაოები, ამასთან აწარმოონ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა;

დ) უზრუნველყონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთის მაქსიმალურად გამოყენება სწავლებაში და ბიოლოგიის პროგრამით სასწავ-

ლო-საცდელ ნაკვეთზე გათვალისწინებული ცდების (თემატიკის მიხედვით) დაყენება.

ე) გამოუმუშაონ მოსწავლეებს ლაბორატორიაში (კაბინეტში). ცოცხალ კუთხეში და საცდელ ნაკვეთზე მუშაობის ჩვევები, გააუმჯობესონ მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია, მოაწყონ მოცემულ დავალებათა შესრულების სისტემატური შემოწმება.

ვ) დანერგონ მოსწავლეთა შორის ბიოლოგიის სპეციალურ რვეულებში გაკვეთილის მსვლელობისას ლაბორატორიული მეცადინეობისა და ცდების მნიშვნელოვანი მომენტების ჩახაზვა და დასკვნების ჩაწერა;

ზ) გადაჭრით გააუმჯობესონ სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმე;

თ) ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში გაკვეთილებზე გამოსაყენებელი მარტივი ხელსაწყო იარაღების დამზადების პრაქტიკა. დაავალონ მოსწავლეებს ჰერბარიუმების, კოლექციების, პრეპარატების, ჩონჩხების, ფიტულების და სხვათა დამზადება;

ი) გააძლიერონ კლასგარეშე მუშაობა ბიოლოგიაში, ნორჩ ნატურალისტთა წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას, ცდებსა და მათი ამსახველი ფოტოგაზეთებისა და ალბომების მომზადებას;

კ) უზრუნველყონ ბიოლოგიაში პერიოდულად სავარჯიშო, ხოლო მეოთხედში არა ნაკლებ ერთი საკონტროლო წერის ჩატარება ცალკეული კლასების მიხედვით, გულდასმით გაასწორონ მოსწავლეთა ნამუშევრები.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნა, კაბინეტები შეავსონ ხელსაწყო-იარაღებით, მოაწყონ ცოცხალი კუთხეები მცენარეებითა და ცხოველებით (თევზები, ფუტკარი, კურდღელი), კაბინეტები აღჭურვონ სადემონსტრაციო და მოსწავლეთა მაგიდებით;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ კაბინეტებისა და მათში არსებული ხელსაწყო-იარაღების სწავლებაში გამოყენების მდგომარეობა;

გ) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი ბიოლოგიის მასწავლებელთა მუშაობაზე. სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე

და მოაწყონ მოსმენილი გაკვეთილების მეცნიერული, პედაგოგიური და მეთოდური გარჩევა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა სკოლაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილების განზოგადებას და აღმოფხვრან ფორმალიზმი ამ საქმეში.

3. სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ა) პერიოდულად შეისწავლონ ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად;

ბ) პედაგოგიურ კაბინეტთან არსებულ ბიოლოგიის მასწავლებელთა სექციებში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოისმინონ იმ მასწავლებელთა მოხსენებები, რომლებმაც ბიოლოგიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები გაიარეს უკანასკნელ პერიოდში, აგრეთვე ჩაატარონ ლაბორატორიული მეცადინეობები და მოაწყონ ახალი ხელსაწყო-იარაღების შესწავლა;

გ) გადასინჯონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საკითხი და ახალი სასწავლო წლიდან გაატარონ სათანადო ღონისძიებანი მათ მიმართ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ინსტრუქცია—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა ყოფა-ქცევის შეფასების შესახებ 3
2. ამონაწერი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმიდან 6
3. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასებში ქართული ენის სწავლების ზოგი საკითხისა და სასწავლო მასალის განაწილების შესახებ 8
4. დებულება—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მშობელთა კომიტეტის შესახებ 20
5. Положение о родительском комитете общеобразовательной школы 25
6. დადგენილება—1970—1971 სასწავლო წლისათვის სკოლების სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ . . 30
7. დადგენილება—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა თხზულების—„პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი"—IV საკავშირო დათვალიერებაში საქართველოს სსრ მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ . . . 33
8. ბრძანება № 23—დამხმარე სკოლა-ინტერნატების ახალი პროგრამების შესახებ 39
9. ბრძანება № 29—სიღნაღის დამხმარე და ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1970 წლის 6 თებერვლის დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 8 მაისის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . 42
10. ბრძანება № 31—ხაშურის რაიონის სოფ. ალის საშუალო სკოლაში მომხდარი ხანძრის შესახებ 45
11. ბრძანება № 32—რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების V—VII კლასებში ახალი პროგრამებით ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ 47
12. ბრძანება № 34—საჩხერისა და ჭიათურის საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 53
13. ბრძანება № 54—თელავის, ზუგდიდის, ვანისა და ჩოხატაურის რაიონების ზოგიერთ სკოლაში ახალი პროგრამით ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესახებ 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/V-71 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,

შეკვ. № 511. უე—05977 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 12, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 12 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19